სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის ანარიცხს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულში მიღებულ გამოცდილებას და კორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები) კომპანიამ გამოითვალა 12-თვიანი საკრედიტო ზარალი. 12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელსაც განაპირობებს ფინანსურ ინსტრუმენტებზე დეფოლტის შემთხვევების შესაძლო დადგომა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც აქტივის წარმოშობიდან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ანარიცხი შეიქმნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით.

კომპანია, როგორც წესი, ფინანსურ აქტივს გადაუხდელად მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 120 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს მოგებაში ან ზარალში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, როცა მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა, ან რამდენად შეინარჩუნა, ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ისე, რომ ასახავდეს კომპანიის მიერ შენარჩუნებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება უმცირესით აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებასა და ზარალში ასახვით, სესხები და ნასესხები სახსრები, ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და, სესხებისა და ნასესხები სახსრების და ვალდებულებების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს სავაჭრო ვალდებულებას, სხვა მოკლევადიან ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს და სესხებსა და ნასესხებ სახსრებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები (სესხები და ნასესხები სახსრები).

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, როგორც წესი, ნასესხები სახსრებზე ვრცელდება.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის განზრახვა.

(k) რეალური ღირებულების შეფასება

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. რეალური ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე, ან
- ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

კომპანიას უნდა შეეძლოს ძირითად ან ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე წვდომის მოპოვება შეფასების თარიღისთვის. .

აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის რეალური ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც რეალური ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა რეალური ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია რეალური ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების შეფასებისთვის:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია რეალური ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია რეალური ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის სხვადასხვა დონეებში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი რეალური ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლებისა და რისკების, ასევე რეალური ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

(l) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ძირითადად, შედგება საწარმოო პროცესში გამოყენებული ნედლეულისა და მასალებისგან, ტექნიკური მომსახურების და მშენებლობის პროცესში გამოყენებული სათადარიგო ნაწილებისგან და სარემონტო მასალებისგან და მზა პროდუქციისგან, რომელსაც კომპანია შემდეგ ყიდის.

მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და შეიცავს შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს, გარდაქმნის ხარჯს და ამჟამინდელ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ სხვა დანახარჯებს.

გაუფასურების ზარალის დასადგენად ყოველწლიურად ხორციელდება არალიკვიდური მარაგების ანალიზი და ინვენტარიზაციის პროცედურა და აღმოჩენილი მოძველებული ერთეულები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება მარაგების გაუფასურების ანარიცხის ანგარიშში ასახვით.

(m) გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურებით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგაა მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, თავდაპირველი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად.

აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა გადახდილი ავანსები ასახულია სხვა მოკლევადიან აქტივებში.

თუ არსებობს მინიშნება, რომ კომპანიამ შესაძლოა ვერ მიიღოს გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი ან მომსახურება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(n) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებისგან და ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში. ნაშთები, რომელთა სავალუტო კონვერტაცია ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში, ასახულია გრძელვადიან აქტივებში, და არა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში.

(o) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მოკლევადიანი (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენებისას ანარიცხი იზრდება დისკონტირების განაკვეთით, დროის გასვლის გამო.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

კომპანიისთვის დამახასიათებელი რისკებისა და განუსაზღვრელობის შესახებ სხვა ინფორმაცია წარმოდგენილია 23-ე შენიშვნაში.

შეფასებები

ქვემოთ აღწერილია მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა, არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებს ახორციელებს. ბასს 39-ით მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, გარიგებების ფასი საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება თუ არასაბაზრო განაკვეთებით, როდესაც მსგავსი გარიგებების აქტიური ბაზარი არ არსებობს. განსჯა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი სახის ოპერაციების ფასწარმოქმნასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობისა და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

სავაჭრო მოთხოვნის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შექმნილი ანარიცხები

კომპანია სავაჭრო მოთხოვნისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად ანარიცხების მატრიცას იყენებს. ანარიცხების ოდენობები ეყრდნობა ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას.

ანარიცხების მატრიცა თავდაპირველად ეყრდნობა კომპანიის დეფოლტის ისტორიულ მაჩვენებლებს, რომლებიც კორექტირებულია საპროგნოზო ინფორმაციით.

თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის განახლდება გადაუხდელობის (დეფოლტის) ისტორიული მაჩვენებლები. მსხვილი კომპანიებისთვის კომპანია ანარიცხებს ინდივიდუალურად აფასებს.

ინფორმაცია კომპანიის სავაჭრო მოთხოვნის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესახებ წარმოდგენილია 1-ელ შენიშვნაში.

განსჯა

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

რეკულტივაციის ანარიცხი

კომპანიას სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების რამდენიმე ლიცენზია აქვს მიღებული. ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულით მოსარგებლეები ვალდებულები არიან მოახდინონ მათ მიერ ლიცენზიის საფუძველზე დამუშავებული ტერიტორიების რეკულტივაცია. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა არ არის საკმარისად დახვეწილი ამ სფეროში და არ იძლევა დაწვრილებით მითითებებს, რათა ყველა შესაძლო სიტუაცია მოიცვას. კომპანიის ხელმძღვანელობამ დეტალურად გააანალიზა თავისი ყველა ლიცენზია და გადაწყვიტა, რომ არ დაეკისრება რამე არსებითი რეკულტივაციის ხარჯები ამ ლიცენზიების ვადის გასვლის შემთხვევაში ან მათი გამოყენების დროს, ვინაიდან შეუძლებელია ლიცენზიების საფუძველზე დამუშავებული ტერიტორიების რეკულტივაცია, რადგან ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორია განსაზღვრულია, როგორც წიაღისეულის მოპოვების არეალი და, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ასეთ ტერიტორიებზე რეკულტივაცია დაუშვებელია.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

გარდა ამისა, სასარგებლო წიაღისეულის მარაგები ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე აღემატება იმ მთლიან რაოდენობას, რომლის მოპოვების უფლებაც კომპანიას აქვს სალიცენზიო პერიოდის განმავლობაში, რაც მთავრობას საშუალებას აძლევს, სამთო-მოპოვებითი სამუშაოების უფლებები გადასცეს სხვა საწარმოს მას შემდეგ, რაც ამოიწურება ამჟამად კომპანიის ხელთ არსებული ლიცენზიის ვადა. გამორიცხული არ არის, რომ კანონმდებლობა მომავალში შეიცვალოს და ეს ცვლილებები კომპანიის მიმდინარე ლიცენზიებზეც აისახოს. კომპანიას არ უღიარებია რეკულტივაციის ანარიცხები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში. ამ ანარიცხებმა შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ მათი შექმნა საჭირო გახდება.

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ახალი შესწორებული სტანდარტები რომლებიც ძალაში შევიდა 2022 წლის 1 იანვარს, თუმცა არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიაზე არის შემდეგი:.

შემოსულობა გამიზნულ გამოყენებამდე; წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები, მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირემასშტაბიანი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-სა და ფასს 3-ში, და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები, 2018-2020 – ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

- ბასს 16-ში ცვლილებით აკრძალულია საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოქვითვა, რომელიც მიღებულია ისეთი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომელთაც საწარმო გამიზნული დანიშნულებით ამზადებს. მსგავსი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, მოგება-ზარალში აღიარდება. საწარმო ბასს 2-ს გამოიყენებს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ შეიცავს იმ აქტივის ცვეთას, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს, რადგან ის მზად არ არის გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის. ბასს 16-ში ცვლილებით ასევე განმარტებულია, რომ აქტივის ტექნიკური და ფიზიკური შედეგების შეფასებისას საწარმო „ახორციელებს ტესტირებას, რათა დაადგინოს აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“. აქტივის ფინანსური შედეგები შეუსაბამოა ამ შეფასებისთვის. ამგვარად, აქტივი შეიძლება ვარგისი იყოს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის და მას ცვეთა ერიცხებოდეს მანამ, სანამ ის მიაღწევს საოპერაციო შედეგების დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მოელის.

- ბასს 37-ში ცვლილებით განმარტებულია „ხელშეკრულების შესრულების დანახარჯების“ მნიშვნელობა. ახსნილია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს; ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების განაწილებას. ცვლილებაში განმარტებულია ასევე, რომ წამგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხის გაკეთებამდე საწარმო აღიარებს იმ აქტივების გაუფასურების ზარალს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, ნაცვლად ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივებისა.

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

- ფასს 3-ში ცვლილება შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან მიმართებით, რათა განისაზღვროს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამასთან, ფასს 3-ს ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის. გამონაკლისი გულისხმობს, რომ საწარმომ, რომელიც ფასს 3-ს იყენებს, ზოგიერთი სახის ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21, ნაცვლად 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო ისეთ ვალდებულებებს აღიარებდა საწარმოთა გაერთიანებაში, რომლებსაც ის არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარად, საწარმოს შეძენისთანავე მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც ეკონომიკურ შემოსულობას არ წარმოადგენს. ამასთან, განმარტებულია, რომ შემძენმა პირობითი აქტივები არ უნდა აღიაროს შეძენის თარიღით, როგორც ბასს 37-ში არის განმარტებული.

- ფასს 9-ში შეტანილი ცვლილება ეხება იმის განსაზღვრას, რომელიც საზღაური უნდა შევიდეს ფინანსური ვალდებულებების აღიარებისთვის ჩატარებულ 10%-ის ტესტში. ღირებულება ან საზღაური შეიძლება გადახდილ იქნეს მესამე მხარის ან გამსესხებლისთვის. ამ ცვლილების მიხედვით მესამე მხარისთვის გადახდილი ღირებულება ან საზღაური არ უნდა შევიდეს აღნიშნულ 10%-ის ტესტში.

- ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზეზია საიჯარო შეღავათების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა.

- ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს ფასს-ებს. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შეძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეეფასებინათ ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომღებთა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ.

ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომელთა ადრე გამოყენებაც კომპანიას არ დაუწყია, არის შემდეგი:

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ). ამ ვიწრო მასშტაბის შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას მისი საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამონაკლისი გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შესული იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც დაიწყო 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ). ბასს 1-ის შესწორებები ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირების შესახებ გამოიცა 2020 წლის იანვარში და მისი ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა 2022 წლის 1 იანვრამდე. Covid-19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების შედეგად კლასიფიკაციის ცვლილების დანერგვისთვის მეტი დრო ჰქონდეთ. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“-(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად , ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

- *ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ;* და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- *დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:* საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.

- *სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:* დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების” ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.

- *ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება:* როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.

- *სხვა შესწორებები:* სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესადარის პერიოდში აღიარება შეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზეც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გაუმჯობესონ შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესადარის ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალ-ცალკე; საწარმოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ არ საწარმოს მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოელის საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით. კომპანია ამჟამად აფასებს ფასს 17-ისა და დაკავშირებული ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები ეხება გაყიდვისა და უკუიჯარის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოთხოვნებს გაყიდვის სახით აღრიცხვის შესახებ. ცვლილებები მოითხოვს, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ შემდგომში შეაფასოს ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება გარიგებიდან და ისე, რომ არ აღიაროს რაიმე სახის შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან. ეს ნიშნავს ასეთი შემოსულობის გადავადებას მაშინაც კი, თუ არსებობს ვალდებულება განხორციელდეს ცვლადი გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსსა თუ განაკვეთზე.

კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ათასი ლარი	**2022**	**2021**
შემდეგი პროდუქტების გაყიდვიდან წარმოქმნილი ამონაგები:		
ცემენტი	315,112	257,156
ბეტონი	133,385	106,886
კლინკერი	37,108	31,349
კირქვა	779	783
სხვა	27,072	19,121
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**513,456**	**415,295**

კომპანიამ აღიარა შემოსავლებთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნა (მე-15 შენიშვნა)	9,963	9,518
სახელშეკრულებო ვალდებულებები	4,344	4,290

მოთხოვნების ანგარიშების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება. სახელშეკრულებო ვალდებულებები არის მომხმარებლებისგან მიღებული ანაზღაურება და წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, გადასცეს საქონელი ამ მომხმარებლებს.

საანგარიშგებო თარიღისთვის შეუსრულებელ ვალდებულებებთან დაკავშირებული 4,344 ათასი ლარის ოდენობის სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება, სავარაუდოდ, 2023 წლის შემოსავლის სახით მოხდება. 2022 წელს კომპანიამ აღიარა 4,290 ათასი ლარის ოდენობის, რომელიც აისახა სახელშეკრულებო ვალდებულებებში საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში

8. რეალიზაციის თვითღირებულება

ათასი ლარი	**2022**	**2021**
საწვავის ხარჯები	75,560	40,020
ნედლეული და დანამატები	64,509	56,567
ნედლეულის ტრანსპორტირება და აფეთქების სამუშაოები	45,219	36,171
ელექტროენერგია	42,582	43,272
ცვეთა და ამორტიზაცია	33,075	32,362
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	25,922	21,538
სახარჯო მასალები	19,166	14,569
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	17,848	13,208
შეფუთვა	13,457	9,291
მოკლევადიან იჯარებთან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	976	608
დაზღვევა	525	669
ცვლილებები მარაგებში	(4,678)	1,862
სხვა	13,653	15,583
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	**347,814**	**285,720**

9. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები

ათასი ლარი	**2022**	**2021**
ტრანსპორტირების ხარჯები	26,799	17,001
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	2,135	1,866
მოკლევადიან იჯარებთან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	136	204
სხვა	1,622	1,312
სულ რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	**30,692**	**20,383**

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი	**2022**	**2021**
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	11,385	9,905
ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურება	2,846	2,951
სალიცენზიო გადასახადი (a)	2,593	2,574
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება (b)	692	930
კომპანიის ზედნადები ხარჯის გადანაწილება (23-ე შენიშვნა)	389	576
ელექტროენერგიის სხვა ხარჯები	284	215
სხვა	1,791	2,287
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**19,980**	**19,438**

(a) HeidelbergCement AG-მ კომპანიას გადასცა ისეთი პროდუქტების წარმოების და დისტრიბუციის ლიცენზია, როგორიცაა ცემენტი, აგრეგატები და ბეტონი (23-ე შენიშვნა).

(b) (გ) პროფესიული და საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს 353 ათას ლარს - აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურების საფასურს, როგორც ეს განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

11. სხვა შემოსულობა/(ზარალი), ნეტო

ათასი ლარი	**2022**	**2021**
სავალუტო შემოსულობა საოპერაციო საქმიანობიდან, ნეტო	517	1,408
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	298	214
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(4,793)	(4,838)
მოძველებული მარაგებისთვის შექმნილი ანარიცხები	-	(4,462)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება (მე-12 შენიშვნა)	(595)	(1,799)
სხვა ხარჯები	(4,423)	(3,126)
სხვა შემოსულობა/(ზარალი), ნეტო	**(8,996)**	**(12,603)**

12. ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავტომობილები და სხვა აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება					
2021 წლის 1 იანვარი	**202,144**	**287,586**	**134,887**	**20,708**	**645,325**
დამატებები	4,921	4,305	5,132	3,273	**17,631**
გასვლა	(1,979)	(4,163)	(7,346)	-	**(13,488)**
შიდა გადაცემები	4,091	9,485	1,120	(14,696)	**-**
2021 წ. 31 დეკემბერი	**209,177**	**297,213**	**133,793**	**9,285**	**649,468**
დამატებები	4,501	3,719	10,352	4,855	**23,427**
გასვლა	(5,618)	(8,753)	(10,937)	-	**(25,308)**
შიდა გადაცემები	3,288	4,856	1,082	(9,226)	**-**
2022 წ. 31 დეკემბერი	**211,348**	**297,035**	**134,290**	**4,914**	**647,587**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
2021 წლის 1 იანვარი	**(55,275)**	**(89,531)**	**(81,852)**	**-**	**(226,658)**
წლის დარიცხვა	(7,852)	(13,573)	(8,548)	-	**(29,973)**
გაუფასურება	(824)	(689)	(286)	-	**(1,799)**
გასვლა	1,901	4,144	6,435	-	**12,480**
2021 წ. 31 დეკემბერი	**(62,050)**	**(99,649)**	**(84,251)**	**-**	**(245,950)**
წლის დარიცხვა	(8,235)	(13,786)	(9,000)	-	**(31,021)**
გაუფასურება	(28)	(173)	(394)	-	**(595)**
გასვლა	5,618	8,753	10,625	-	**24,996**
შიდა გადაცემები	53	19	(72)		**-**
2022 წ. 31 დეკემბერი	**(64,642)**	**(104,836)**	**(83,092)**	**-**	**(252,570)**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2021 წლის 1 იანვარი	146,869	198,055	53,035	20,708	**418,667**
2021 წ. 31 დეკემბერი	147,127	197,564	49,542	9,285	**403,518**
2022 წ. 31 დეკემბერი	**146,706**	**192,199**	**51,198**	**4,914**	**395,017**

12. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

გადახდილ ავანსებში მოძრაობება შემდეგია:

ათასი ლარი	ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 აინვარს	**733**
დამატებები	1,034
დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მიღებისას აღიარება შეწყვეტილი გადახდილი ავანსები	(720)
სულ გადახდილი ავანსები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,047**
დამატებები	6,220
დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მიღებისას აღიარება შეწყვეტილი გადახდილი ავანსები	(958)
სულ გადახდილი ავანსები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**6,309**

13. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას საიჯარო ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული საოფისე შენობებზე, გაზგასამართ სადგურებზე და ავტოსადგომებზე ერთიდან 98 წლამდე ვადით. კომპანიას გარკვეული ტექნიკა 12 თვემდე ვადით აქვს იჯარით აღებული, და აგრეთვე იჯარით აქვს მიღებული დაბალი ღირებულების მქონე საოფისე აღჭურვილობა. კომპანია ამ იჯარებისთვის იყენებს „მოკლევადიანი იჯარის“ და „დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის“ აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს. ქვემოთ მოცემულია აქტივის გამოყენების უფლების აღიარებული საბალანსო ღირებულებები:

ათასი ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	სხვა	სულ
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**3,216**	**61**	**3,277**
დამატებები	2,117	-	2,117
ცვეთის ხარჯი	(1,271)	(61)	(1,332)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,062**	**-**	**4,062**
დამატებები	532	-	**532**
სხვა ცვლილება	(369)	369	**-**
ცვეთის ხარჯი	(1,221)	(211)	**(1,432)**
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,004**	**158**	**3,162**

ქვემოთ წარმოდგენილია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მათი ცვლილება პერიოდის განმავლობაში:

13. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

ათასი ლარი	**2022**	**2021**
1 იანვრის მდგომარეობით	**4,359**	**3,787**
დამატებები	532	2,117
დარიცხული პროცენტი	261	237
გადახდები	(1,594)	(1,727)
საკურსო სხვაობა	(246)	(55)
31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,312**	**4,359**
მოკლევადიანი	1,293	1,354
გრძელვადიანი	2,019	3,005

საიჯარო ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

ქვემოთ მოცემულია მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები:

ათასი ლარი	**2022**	**2021**
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ანარიცხები	1,432	1,332
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	261	237
დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარასთან და მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯი	1,124	608
მოგებაში ან ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა	**2,817**	**2,177**

14. მარაგები

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სახარჯო მასალები(თვითღირებულებით)	17,581	19,444
სათადარიგო ნაწილები (თვითღირებულებით)	18,158	14,875
დაუმთავრებელი წარმოება (თვითღირებულება)	8,665	5,747
ნედლეული და დანამატები (თვითღირებულებით)	7,710	6,982
მზა პროდუქცია (თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით)	6,796	4,979
მარაგები, სულ	**58,910**	**52,027**

15. სავაჭრო მოთხოვნები

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	12,221	11,770
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(2,258)	(2,236)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**9,963**	**9,534**

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის ცვლილებები 31 დეკემბრისთვის

ათასი ლარი	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	**(2,236)**	**(2,191)**
წლის ხარჯი	(22)	(45)
31 დეკემბრის მდგომარეობით	**(2,258)**	**(2,236)**

სავაჭრო მოთხოვნას პროცენტი არ ერიცხება და მათი ვადა, როგორც წესი, 30 დღემდეა.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის მოთხოვნების საკრედიტო რისკის შესახებ ანარიცხების მატრიცის გამოყენებით:

		არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	ვადაგადაცილებული			
			<60 დღე			>180 დღე
%-ში / ათას ლარში	სულ			60-120 დღე	120-180 დღე	
2022						
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	**18%**	**0%**	**0%**	**0%**	**99%**	**97%**
საბალანსო ღირებულება	12,221	8,103	1,781	11	21	2,305
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(2,258)				(21)	(2,237)
ნეტო თანხა	**9,963**	**8,103**	**1,781**	**11**	**0**	**68**
2021						
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	**19%**	0%	0%	0%	100%	100%
საბალანსო ღირებულება	**11,770**	8,529	655	350	24	2,212
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	**(2,236)**	-	-	-	(24)	(2,212)
ნეტო თანხა	**9,534**	**8,529**	**655**	**350**	**-**	**-**

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული თანხების ამოღება შესაძლებელია. გაუფასურების ანალიზი პერიოდულად და ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება. ანალიზი მოიცავს მომხმარებლებისგან მიღებული შემდგომი ფულადი სახსრების

შემოწმებას. კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას მხედველობაში იღებს არსებულ საკრედიტო რისკის შემცირებას, როგორიცაა საბანკო გარანტიები, ვინაიდან მოთხოვნების უმეტესობა დაფარულია საქართველოს კომერციული ბანკებისგან მიღებული გარანტიებით.

16. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავდა ნაშთებს რეზიდენტ ბანკებში გახსნილ მიმდინარე და სადეპოზიტო ანგარიშებზე. აღნიშნულ დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალმა 1,895 ათას ლარი შეადგინა (2021 წ.: 851 ათასი ლარი).

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი შემდეგია:

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
"BB-" -დან "BB+" რეიტინგი	89,887	31,532
ურეიტინგო	10	20
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**89,897**	**31,552**

17. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბერს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 291,811 ათას ლარს.

უშუალო მშობელი კომპანიისთვის გადაცემა.

კომპანიამ 755 ათასი ლარის (2021: 134 ათასი ლარი) ფულადი სახსრები გადასცა უშუალო მშობელ კომპანიას საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი შედგება მესაკუთრეთა შენატანებისგან კომპანიის კაპიტალში და გაუნაწილებელი მოგებისგან. კომპანიაზე არ ვრცელდება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

18. სესხები და ნასესხები სახსრები

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის მოკლევადიანი ნაწილი ევროში	32,983	39,574
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის მოკლევადიანი ნაწილი ლარში	-	23,135
დარიცხული პროცენტი (c)	197	160
სულ მოკლევადიანი სესხები და ნასესხები სახსრები	**33,180**	**62,869**

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის გრძელვადიანი ნაწილი ევროში	63,245	113,176
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის გრძელვადიანი ნაწილი ლარში	-	-
სულ გრძელვადიანი სესხები და ნასესხები სახსრები	**63,245**	**113,176**

ფინანსური დანახარჯები მოიცავდა შემდეგს:

ათასი ლარი	**2022**	**2021**
სესხებისა და ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	8,155	14,173
საიჯარო ვალდებულებებზე პროცენტის ზრდა (მე-13 შენიშვნა)	261	237
სულ ფინანსური დანახარჯები	**8,416**	**14,410**

სესხებსა და ნასესხებ სახსრებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი შედგებოდა შემდეგი თანხებისგან:

ათასი ლარი	**2022**	**2021**
ევროში აღებული სესხებისა და ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	7,950	11,648
ლარში აღებული სესხებისა და ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	205	2,525
სულ	**8,155**	**14,173**

მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივები მთლიანად არის დაგირავებული ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

18. სესხები და ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ევროს ვალუტაში არსებული სესხების ვადები არის 2023 წლის ივნისსა და 2025 წლის ნოემბერს შორის და საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 6%-7.1% შორის .

ქართული კომერციული ბანკისგან სესხები მიღებულია სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური პირობით, რომლებიც ძალაში შევიდა ახალი მშრალი წარმოების ხაზის მშენებლობის დასრულების შემდეგ. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია აკმაყოფილებდა აღნიშნულ პირობებს.

ცვლილებები ფინანსური საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებებში

ათასი ლარი	**2022**	**2021**
1 იანვრის მდგომარეობით	**176,045**	**248,088**
ნასესხები სახსრები მიღება	4,453	-
საპროცენტო ხარჯი	8,027	14,173
გადახდილი პროცენტი	(7,718)	(13,863)
ძირითადი თანხის დაფარვა	(58,699)	(47,267)
საკურსო შემოსულობები, ნეტო	(25,683)	(25,086)
წლის ბოლოს არსებული კურსით გადაყვანა არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული. რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, წილობრივი ინვესტიციების ჩათვლით, გადაიყვანება იმ თარიღით არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით, როდესაც განისაზღვრა რეალური ღირებულება. რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში შეფასებულ არაფულად მუხლებზე სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა აღირიცხება რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის სახით.

2021 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოური ვალუტის ნაშთების გადასაყვანად, გახლდათ შემდეგი: აშშ დოლარი (“USD”) 1 = ₾ 2.7020 და ევრო (“EUR”) 1 = ₾ 2.8844 (2021 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი1 = ₾ 3.0976 და ევრო 1=₾ 3.5040). ამჟამად ქართული ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისუფლად გაცვლად ვალუტას არ წარმოადგენს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(c) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის თუ მომსახურების სანაცვლოდ. კომპანიამ დაასკვნა, რომ ამონაგებთან დაკავშირებულ მის შეთანხმებებში, ზოგადად, იგი პრინციპალი გამოდის.

საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისთანავე. კრედიტის ვადა, როგორც წესი, საქონლის მიწოდებიდან 30 დღემდეა. გაწეული მომსახურებიდან შემოსავლის აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც გაიწევა მომსახურება.

საქონლის გარიგების ფასის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების ეფექტებს, დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტების არსებობას, არაფულად ანაზღაურებას და მომხმარებლისთვის გადასახდელ ანაზღაურებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). 2022 და 2021 წლების განმავლობაში კომპანიას არ შეუთავაზებია რაიმე სახის ცვლადი ანაზღაურება (როგორიცაა მოცულობითი ფასდაკლება, დაბრუნების უფლება და სხვა) თავისი მომხმარებლებისთვის.

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების სამომავლო მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები მოგებაში ან ზარალში შედის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

საიჯარო შემოსავალი

საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადის განმავლობაში და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში აისახება.

სახელშეკრულებო ნაშთები

სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები

მოთხოვნის აღიარება ხდება, თუ ანაზღაურების თანხა უპირობოდ არის მისაღები მომხმარებლისგან (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, თუ მომხმარებლისგან მიიღება გადახდა ან გადახდის ვადა მოდის (რომელიც უფრო ადრე დგება), ვიდრე კომპანია გადასცემს მას შესაბამის საქონელს ან მომსახურებას. სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება ამონაგებად მაშინ, როდესაც კომპანია შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(d) იჯარა

იმის განსაზღვრება, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან მოიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია იყენებს აღიარების და შეფასების ერთ მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. კომპანია საიჯარო ვალდებულებებს აღიარებს საიჯარო გადახდებისა და გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებისთვის, რაც მოცემული აქტივების გამოყენების უფლებას წარმოადგენს.

აქტივების გამოყენების უფლება

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის დაწყების თარიღისთვის (ანუ იმ თარიღით, როდესაც საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება იჯარის ან სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადებიდან უფრო მოკლე ვადის განმავლობაში.

- მიწა და შენობა-ნაგებობები 100 წლამდე;
- სხვა აქტივის გამოყენების უფლება 5 წლამდე.

აქტივის გამოყენების უფლება ასევე ექვემდებარება გაუფასურებას. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკის თავი *„არაფინანსური აქტივების გაუფასურება“*.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულს მისაღები საიჯარო შეღავათებით, ცვლად საიჯარო გადასახადებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით.

საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად კომპანია იყენებს თავის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, რადგან საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება საიჯარო გადახდები (მაგ. ცვლილება სამომავლო გადახდებში მათი ოდენობის განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო), ან ცვლილება შედის საბაზისო აქტივის შესყიდვის ოფციონის შეფასებაში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს თავისი დანადგარებისა და მიწის მოკლევადიანი იჯარებისთვის (ანუ იმ იჯარებისთვის, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის უფლებას). იგი ასევე იყენებს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს დაბალი ღირებულების მქონედ მიჩნეული საოფისე აღჭურვილობის იჯარის შემთხვევაში. მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადასახადების აღიარება ხდება იჯარის ვადის განმავლობაში ხარჯის სახით, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარა, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. იჯარიდან შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება საოპერაციო შემოსავლის ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლისა. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

(e) დაბეგვრა

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადი, 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე), გადასახდელია ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებული მოგებიდან რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორაციული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. მოგების გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდის გადახდისას, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის საწაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები

ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადსახადო პოზიციის კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ”)

ამონაგები, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვის გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც შეუძლებელია ბრუნვის გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვის გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც მოთხოვნების და ვალდებულებების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვის გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან ანაზღაურებადი ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადახდილი ავანსების და სხვა აქტივების მუხლში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. ამიტომ კომპანია თითოეული საწარმოს ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

(f) მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაცია

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(g) ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

დაუმთავრებელი მშენებლობა აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოსაყვანად და დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის (როცა ასეთი დანახარჯი გაიწევა) და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ გაწეული დანახარჯები, როგორიცაა შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, ჩვეულებრივ აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც ეს ხარჯები გაიწი

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

- შენობა-ნაგებობები 33 წლამდე;
- მანქანა-დანადგარები 30 წლამდე;
- ავტომობილები და სხვა საწარმოო აღჭურვილობა 30 წლამდე.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაიხედება მინიმუმ ყოველი წლის ბოლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯსა და უცხოურ ვალუტაში მიღებული სესხებით გამოწვეულ საკურსო სხვაობებს იმდენად, რამდენადაც ისინი ითვლება საპროცენტო ხარჯების კორექტირებად.

ნასესხები სახსრები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება დაუმთავრებელი კაპიტალური პროექტის შესყიდვას, აშენებას ან წარმოებას, კაპიტალიზდება და დაემატება მშენებლობის განმავლობაში გაწეულ პროექტის დანახარჯებს მანამ, სანამ ეს აქტივები ჩაითვლება არსებითად მზად დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს (ანუ იმ თარიღით, როდესაც მიმღები მოიპოვებს კონტროლს) ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იმავე წელში, რომელშიც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

(h) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ყოველგვარი დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები, კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯების ჩათვლით, არ კაპიტალიზდება.

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვს სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადა და, ძირითადად, მოიცავს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიებს, კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიებს, სარკინიგზო ვაგონების გამოყენების უფლებებს და გუდვილს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები კაპიტალიზებულია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე კრიტერიუმს:

- შეუძლებელია დანახარჯის საიმედოდ შეფასება;
- კომპანიას ან კონტრაჰენტს სრული უფლება აქვთ, მათთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს შეწყვიტონ ხელშეკრულება და ხელშეკრულების შეწყვეტა სავსებით დასაშვებია;
- ხელშეკრულების ვადა ერთ წლამდეა.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება მათი სასარგებლო მომსახურების სავარაუდო დარჩენილ ვადაზე ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდით:

- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიები 25 წლამდე ვადით (ლიცენზიის პირობების შესაბამისად);
- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები ხუთიდან ათ წლამდე;
- სარკინიგზო ვაგონების გამოყენების უფლება - 13 წელი.

ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება, როგორც საღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში გაყიდული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

გასვლა

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს (ანუ მიმღების მიერ კონტროლის მოპოვების დღეს) ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

(i) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან.

როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და დაიყვანება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით ან რეალური ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე გამოითვლის. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

ისეთი აქტივების შემთხვევაში, რომლებშიც გუდვილი არ შედის, ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი შეიძლება აღმოფხვრილი ან შემცირებული იყოს. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია განხორციელებული. აღდგენის შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც მას ექნებოდა, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

გუდვილის გაუფასურებაზე შემოწმება ყოველწლიურად ხორციელდება (31 დეკემბრის მდგომარეობით) და მაშინ, როდესაც საბალანსო ღირებულების გაუფასურებაზე გარკვეული გარემოებები მიანიშნებს.

გუდვილის გაუფასურება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ თითოეული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ან ერთეულების ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებით, რომელთანაც გუდვილია დაკავშირებული. თუ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, ხდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება. გუდვილთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა მომავალ პერიოდებში შეუძლებელია.

(j) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, და რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომლითაც ის ამ ფინანსურ აქტივებს მართავს. სავაჭრო მოთხოვნების გამოკლებით, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენა, კომპანია ფინანსურ აქტივს თავდაპირველად აღიარებს მისი რეალური ღირებულებით და, თუ ფინანსური აქტივი არ არის აღიარებული რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მას უმატებს გარიგების დანახარჯებს.

სავაჭრო მოთხოვნა რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს 15-ის *„ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“* შესაბამისად.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირება და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად. ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირებული და შეფასებული ფინანსური აქტივები ფლობილია ისეთი ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანიც არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, ხოლო რეალური ღირებულებით კლასიფიცირებული და შეფასებული ფინანსური აქტივები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფლობილია ისეთი ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანიც არის როგორც მისი ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღების, ისე გაყიდვის მიზნით.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება წორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები);
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის გავლით, აღიარების შეწყვეტის დროს განმეორებითი მოგების ან ზარალის აღიარების გარეშე (წილობრივი ინსტრუმენტი).
- მოგებასა და ზარალში ასახული და რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებაზე შემოწმებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია შემდეგ შენიშვნებშია წარმოდგენილი:

- მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას - მე-5 შენიშვნა;
- სავაჭრო მოთხოვნები - მე-15 შენიშვნა.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს აღიარებს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ორ ეტაპად ხდება. იმ კრედიტების შემთხვევაში, რომელთა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ანარიცხები იქმნება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევით განპირობებული საკრედიტო ზარალისთვის (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). ისეთი კრედიტების შემთხვევაში, რომელთა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ანარიცხის შექმნა სავალდებულოა კრედიტის დარჩენილი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალისთვის, იმისდა მიუხედავად, თუ როდის დგება დეფოლტი (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის ანარიცხს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულში მიღებულ გამოცდილებას და კორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები) კომპანიამ გამოითვალა 12-თვიანი საკრედიტო ზარალი. 12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელსაც განაპირობებს ფინანსურ ინსტრუმენტებზე დეფოლტის შემთხვევების შესაძლო დადგომა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც აქტივის წარმოშობიდან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ანარიცხი შეიქმნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით.

კომპანია, როგორც წესი, ფინანსურ აქტივს გადაუხდელად მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 120 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს მოგებაში ან ზარალში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, როცა მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა, ან რამდენად შეინარჩუნა, ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ისე, რომ ასახავდეს კომპანიის მიერ შენარჩუნებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება უმცირესით აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებასა და ზარალში ასახვით, სესხები და ნასესხები სახსრები, ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და, სესხებისა და ნასესხები სახსრების და ვალდებულებების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს სავაჭრო ვალდებულებას, სხვა მოკლევადიან ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს და სესხებსა და ნასესხებ სახსრებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები (სესხები და ნასესხები სახსრები).

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, როგორც წესი, ნასესხები სახსრებზე ვრცელდება.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, გათიშლდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის განზრახვა.

(k) რეალური ღირებულების შეფასება

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. რეალური ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე, ან
- ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

კომპანიას უნდა შეეძლოს ძირითად ან ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე წვდომის მოპოვება შეფასების თარიღისთვის. .

აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის რეალური ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც რეალური ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა რეალური ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია რეალური ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების შეფასებისთვის:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია რეალური ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია რეალური ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის სხვადასხვა დონეებში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი რეალური ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლებისა და რისკების, ასევე რეალური ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

(l) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ძირითადად, შედგება საწარმოო პროცესში გამოყენებული ნედლეულისა და მასალებისგან, ტექნიკური მომსახურების და მშენებლობის პროცესში გამოყენებული სათადარიგო ნაწილებისგან და სარემონტო მასალებისგან და მზა პროდუქციისგან, რომელსაც კომპანია შემდეგ ყიდის.

მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და შეიცავს შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს, გარდაქმნის ხარჯს და ამჟამინდელ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ სხვა დანახარჯებს.

გაუფასურების ზარალის დასადგენად ყოველწლიურად ხორციელდება არალიკვიდური მარაგების ანალიზი და ინვენტარიზაციის პროცედურა და აღმოჩენილი მოძველებული ერთეულები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება მარაგების გაუფასურების ანარიცხის ანგარიშში ასახვით.

(m) გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურებით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგაა მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, თავდაპირველი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად.

აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა გადახდილი ავანსები ასახულია სხვა მოკლევადიან აქტივებში.

თუ არსებობს მინიშნება, რომ კომპანიამ შესაძლოა ვერ მიიღოს გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი ან მომსახურება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებისგან და ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში. ნაშთები, რომელთა სავალუტო კონვერტაცია ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში, ასახულია გრძელვადიან აქტივებში, და არა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში.

(ი) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მოკლევადიანი (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენებისას ანარიცხი იზრდება დისკონტირების განაკვეთით, დროის გასვლის გამო.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

კომპანიისთვის დამახასიათებელი რისკებისა და განუსაზღვრელობის შესახებ სხვა ინფორმაცია წარმოდგენილია 23-ე შენიშვნაში.

შეფასებები

ქვემოთ აღწერილია მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა, არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებს ახორციელებს. ბასს 39-ით მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, გარიგებების ფასი საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება თუ არასაბაზრო განაკვეთებით, როდესაც მსგავსი გარიგებების აქტიური ბაზარი არ არსებობს. განსჯა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი სახის ოპერაციების ფასწარმოქმნასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობისა და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

სავაჭრო მოთხოვნის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შექმნილი ანარიცხები

კომპანია სავაჭრო მოთხოვნისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად ანარიცხების მატრიცას იყენებს. ანარიცხების ოდენობები ეყრდნობა ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას.

ანარიცხების მატრიცა თავდაპირველად ეყრდნობა კომპანიის დეფოლტის ისტორიულ მაჩვენებლებს, რომლებიც კორექტირებულია საპროგნოზო ინფორმაციით.

თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის განახლდება გადაუხდელობის (დეფოლტის) ისტორიული მაჩვენებლები. მსხვილი კომპანიებისთვის კომპანია ანარიცხებს ინდივიდუალურად აფასებს.

ინფორმაცია კომპანიის სავაჭრო მოთხოვნის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესახებ წარმოდგენილია 1-ელ შენიშვნაში.

განსჯა

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

რეკულტივაციის ანარიცხი

კომპანიას სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების რამდენიმე ლიცენზია აქვს მიღებული. ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულით მოსარგებლეები ვალდებულები არიან მოახდინონ მათ მიერ ლიცენზიის საფუძველზე დამუშავებული ტერიტორიების რეკულტივაცია. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა არ არის საკმარისად დახვეწილი ამ სფეროში და არ იძლევა დაწვრილებით მითითებებს, რათა ყველა შესაძლო სიტუაცია მოიცვას. კომპანიის ხელმძღვანელობამ დეტალურად გააანალიზა თავისი ყველა ლიცენზია და გადაწყვიტა, რომ არ დაეკისრება რამე არსებითი რეკულტივაციის ხარჯები ამ ლიცენზიების ვადის გასვლის შემთხვევაში ან მათი გამოყენების დროს, ვინაიდან შეუძლებელია ლიცენზიების საფუძველზე დამუშავებული ტერიტორიების რეკულტივაცია, რადგან ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორია განსაზღვრულია, როგორც წიაღისეულის მოპოვების არეალი და, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ასეთ ტერიტორიებზე რეკულტივაცია დაუშვებელია.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

გარდა ამისა, სასარგებლო წიაღისეულის მარაგები ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე აღემატება იმ მთლიან რაოდენობას, რომლის მოპოვების უფლებაც კომპანიას აქვს სალიცენზიო პერიოდის განმავლობაში, რაც მთავრობას საშუალებას აძლევს, სამთო-მოპოვებითი სამუშაოების უფლებები გადასცეს სხვა საწარმოს მას შემდეგ, რაც ამოიწურება ამჟამად კომპანიის ხელთ არსებული ლიცენზიის ვადა. გამორიცხული არ არის, რომ კანონმდებლობა მომავალში შეიცვალოს და ეს ცვლილებები კომპანიის მიმდინარე ლიცენზიებზეც აისახოს. კომპანიას არ უღიარებია რეკულტივაციის ანარიცხები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში. ამ ანარიცხებმა შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ მათი შექმნა საჭირო გახდება.

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ახალი შესწორებული სტანდარტები რომლებიც ძალაში შევიდა 2022 წლის 1 იანვარს, თუმცა არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიაზე არის შემდეგი:.

შემოსულობა გამიზნულ გამოყენებამდე: წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები, მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირემასშტაბიანი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-სა და ფასს 3-ში, და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები, 2018-2020 – ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

- ბასს 16-ში ცვლილებით აკრძალულია საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოქვითვა, რომელიც მიღებულია ისეთი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომელთაც საწარმო გამიზნული დანიშნულებით ამზადებს. მსგავსი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, მოგება-ზარალში აღიარდება. საწარმო ბასს 2-ს გამოიყენებს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ შეიცავს იმ აქტივის ცვეთას, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს, რადგან ის მზად არ არის გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის. ბასს 16-ში ცვლილებით ასევე განმარტებულია, რომ აქტივის ტექნიკური და ფიზიკური შედეგების შეფასებისას საწარმო „ახორციელებს ტესტირებას, რათა დაადგინოს აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“. აქტივის ფინანსური შედეგები შეუსაბამოა ამ შეფასებისთვის. ამგვარად, აქტივი შეიძლება ვარგისი იყოს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის და მას ცვეთა ერიცხებოდეს მანამ, სანამ ის მიაღწევს საოპერაციო შედეგების დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მოელის.

- ბასს 37-ში ცვლილებით განმარტებულია „ხელშეკრულების შესრულების დანახარჯების“ მნიშვნელობა. ახსნილია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს; ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების განაწილებას. ცვლილებაში განმარტებულია ასევე, რომ წამგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხის გაკეთებამდე საწარმო აღიარებს იმ აქტივების გაუფასურების ზარალს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, ნაცვლად ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივებისა.

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

- ფასს 3-ში ცვლილება შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან მიმართებით, რათა განისაზღვროს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამასთან, ფასს 3-ს ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის. გამონაკლისი გულისხმობს, რომ საწარმომ, რომელიც ფასს 3-ს იყენებს, ზოგიერთი სახის ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21, ნაცვლად 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო ისეთ ვალდებულებებს აღიარებდა საწარმოთა გაერთიანებაში, რომლებსაც ის არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარად, საწარმოს შეძენისთანავე მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც ეკონომიკურ შემოსულობას არ წარმოადგენს. ამასთან, განმარტებულია, რომ შემძენმა პირობითი აქტივები არ უნდა აღიაროს შეძენის თარიღით, როგორც ბასს 37-ში არის განმარტებული.

- ფასს 9-ში შეტანილი ცვლილება ეხება იმის განსაზღვრას, რომელიც საზღაური უნდა შევიდეს ფინანსური ვალდებულებების აღიარებისთვის ჩატარებულ 10%-ის ტესტში. ღირებულება ან საზღაური შეიძლება გადახდილ იქნეს მესამე მხარის ან გამსესხებლისთვის. ამ ცვლილების მიხედვით მესამე მხარისთვის გადახდილი ღირებულება ან საზღაური არ უნდა შევიდეს აღნიშნულ 10%-ის ტესტში.

- ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზეზია საიჯარო შეღავათების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა.

- ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს ფასს-ებს. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შეძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეეფასებინათ ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომღებთა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ.

ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომელთა ადრე გამოყენებაც კომპანიას არ დაუწყია, არის შემდეგი:

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ). ამ ვიწრო მასშტაბის შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას მისი საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება" განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამონაკლისი გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შესული იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც დაიწყო 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ). ბასს 1-ის შესწორებები ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირების შესახებ გამოიცა 2020 წლის იანვარში და მისი ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა 2022 წლის 1 იანვრამდე. Covid-19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების შედეგად კლასიფიკაციის ცვლილების დანერგვისთვის მეტი დრო ჰქონდეთ. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ბასს 8-ში შესწორებები: საღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა საღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები საღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: საღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ საღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია საღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“-(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად , ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

- *ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ;* და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- *დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:* საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.

- *სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:* დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.

- *ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება:* როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.

- *სხვა შესწორებები:* სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესადარის პერიოდში აღიარება შეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზეც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გააუმჯობესონ შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესადარის ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალ-ცალკე; საწარმოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ არ საწარმოს მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოელის საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით. კომპანია ამჟამად აფასებს ფასს 17-ისა და დაკავშირებული ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ფასს 16-ში: თხარა: თხარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუთხარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები ეხება გაყიდვისა და უკუთხარის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოთხოვნებს გაყიდვის სახით აღრიცხვის შესახებ. ცვლილებები მოითხოვს, რომ გამყიდველმა-მოთხარემ შემდგომში შეაფასოს ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება გარიგებიდან და ისე, რომ არ აღიაროს რაიმე სახის შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან. ეს ნიშნავს ასეთი შემოსულობის გადავადებას მაშინაც კი, თუ არსებობს ვალდებულება განხორციელდეს ცვლადი გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსსა თუ განაკვეთზე.

კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ათასი ლარი	2022	2021
შემდეგი პროდუქტების გაყიდვიდან წარმოქმნილი ამონაგები:		
ცემენტი	315,112	257,156
ბეტონი	133,385	106,886
კლინკერი	37,108	31,349
კირქვა	779	783
სხვა	27,072	19,121
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**513,456**	**415,295**

კომპანიამ აღიარა შემოსავლებთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნა (მე-15 შენიშვნა)	9,963	9,518
სახელშეკრულებო ვალდებულებები	4,344	4,290

მოთხოვნების ანგარიშების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება. სახელშეკრულებო ვალდებულებები არის მომხმარებლებისგან მიღებული ანაზღაურება და წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, გადასცეს საქონელი ამ მომხმარებლებს.

საანგარიშგებო თარიღისთვის შეუსრულებელ ვალდებულებებთან დაკავშირებული 4,344 ათასი ლარის ოდენობის სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება, სავარაუდოდ, 2023 წლის შემოსავლის სახით მოხდება. 2022 წელს კომპანიამ აღიარა 4,290 ათასი ლარის ოდენობის, რომელიც აისახა სახელშეკრულებო ვალდებულებებში საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში

8. რეალიზაციის თვითღირებულება

ათასი ლარი	2022	2021
საწვავის ხარჯები	75,560	40,020
ნედლეული და დანამატები	64,509	56,567
ნედლეულის ტრანსპორტირება და აფეთქების სამუშაოები	45,219	36,171
ელექტროენერგია	42,582	43,272
ცვეთა და ამორტიზაცია	33,075	32,362
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	25,922	21,538
სახარჯო მასალები	19,166	14,569
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	17,848	13,208
შეფუთვა	13,457	9,291
მოკლევადიან იჯარებთან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	976	608
დაზღვევა	525	669
ცვლილებები მარაგებში	(4,678)	1,862
სხვა	13,653	15,583
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	**347,814**	**285,720**

9. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები

ათასი ლარი	2022	2021
ტრანსპორტირების ხარჯები	26,799	17,001
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	2,135	1,866
მოკლევადიან იჯარებთან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	136	204
სხვა	1,622	1,312
სულ რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	**30,692**	**20,383**

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი	2022	2021
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	11,385	9,905
ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურება	2,846	2,951
სალიცენზიო გადასახადი (a)	2,593	2,574
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება (b)	692	930
კომპანიის ზედნადები ხარჯის გადანაწილება (23-ე შენიშვნა)	389	576
ელექტროენერგიის სხვა ხარჯები	284	215
სხვა	1,791	2,287
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**19,980**	**19,438**

(a) HeidelbergCement AG-მ კომპანიას გადასცა ისეთი პროდუქტების წარმოების და დისტრიბუციის ლიცენზია, როგორიცაა ცემენტი, აგრეგატები და ბეტონი (23-ე შენიშვნა).

(b) (გ) პროფესიული და საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს 353 ათას ლარს - აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურების საფასურს, როგორც ეს განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

11. სხვა შემოსულობა/(ზარალი), ნეტო

ათასი ლარი	2022	2021
სავალუტო შემოსულობა საოპერაციო საქმიანობიდან, ნეტო	517	1,408
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	298	214
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(4,793)	(4,838)
მოძველებული მარაგებისთვის შექმნილი ანარიცხები	-	(4,462)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება (მე-12 შენიშვნა)	(595)	(1,799)
სხვა ხარჯები	(4,423)	(3,126)
სხვა შემოსულობა/(ზარალი), ნეტო	**(8,996)**	**(12,603)**

12. ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავტომობილები და სხვა აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება					
2021 წლის 1 იანვარი	**202,144**	**287,586**	**134,887**	**20,708**	**645,325**
დამატებები	4,921	4,305	5,132	3,273	**17,631**
გასვლა	(1,979)	(4,163)	(7,346)	-	**(13,488)**
შიდა გადაცემები	4,091	9,485	1,120	(14,696)	**-**
2021 წ. 31 დეკემბერი	**209,177**	**297,213**	**133,793**	**9,285**	**649,468**
დამატებები	4,501	3,719	10,352	4,855	**23,427**
გასვლა	(5,618)	(8,753)	(10,937)	-	**(25,308)**
შიდა გადაცემები	3,288	4,856	1,082	(9,226)	**-**
2022 წ. 31 დეკემბერი	**211,348**	**297,035**	**134,290**	**4,914**	**647,587**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
2021 წლის 1 იანვარი	**(55,275)**	**(89,531)**	**(81,852)**	**-**	**(226,658)**
წლის დარიცხვა	(7,852)	(13,573)	(8,548)	-	**(29,973)**
გაუფასურება	(824)	(689)	(286)	-	**(1,799)**
გასვლა	1,901	4,144	6,435	-	**12,480**
2021 წ. 31 დეკემბერი	**(62,050)**	**(99,649)**	**(84,251)**	**-**	**(245,950)**
წლის დარიცხვა	(8,235)	(13,786)	(9,000)	-	**(31,021)**
გაუფასურება	(28)	(173)	(394)	-	**(595)**
გასვლა	5,618	8,753	10,625	-	**24,996**
შიდა გადაცემები	53	19	(72)		**-**
2022 წ. 31 დეკემბერი	**(64,642)**	**(104,836)**	**(83,092)**	**-**	**(252,570)**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2021 წლის 1 იანვარი	146,869	198,055	53,035	20,708	**418,667**
2021 წ. 31 დეკემბერი	147,127	197,564	49,542	9,285	**403,518**
2022 წ. 31 დეკემბერი	**146,706**	**192,199**	**51,198**	**4,914**	**395,017**

12. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

გადახდილ ავანსებში მოძრაობება შემდეგია:

ათასი ლარი	ძირითადი საშუალებისთვის გადახდილი ავანსები
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვარს	**733**
დამატებები	1,034
დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მიღებისას აღიარება	
შეწყვეტილი გადახდილი ავანსები	(720)
სულ გადახდილი ავანსები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,047**
დამატებები	6,220
დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მიღებისას აღიარება	
შეწყვეტილი გადახდილი ავანსები	(958)
სულ გადახდილი ავანსები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**6,309**

13. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას საიჯარო ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული საოფისე შენობებზე, გაზგასამართ სადგურებზე და ავტოსადგომებზე ერთიდან 98 წლამდე ვადით. კომპანიას გარკვეული ტექნიკა 12 თვემდე ვადით აქვს იჯარით აღებული, და აგრეთვე იჯარით აქვს მიღებული დაბალი ღირებულების მქონე საოფისე აღჭურვილობა. კომპანია ამ იჯარებისთვის იყენებს „მოკლევადიანი იჯარის“ და „დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის“ აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს. ქვემოთ მოცემულია აქტივის გამოყენების უფლების აღიარებული საბალანსო ღირებულებები:

ათასი ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	სხვა	სულ
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**3,216**	**61**	**3,277**
დამატებები	2,117	-	2,117
ცვეთის ხარჯი	(1,271)	(61)	(1,332)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,062**	**-**	**4,062**
დამატებები	532	-	**532**
სხვა ცვლილება	(369)	369	-
ცვეთის ხარჯი	(1,221)	(211)	**(1,432)**
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,004**	**158**	**3,162**

ქვემოთ წარმოდგენილია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მათი ცვლილება პერიოდის განმავლობაში:

13. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

ათასი ლარი	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	**4,359**	**3,787**
დამატებები	532	2,117
დარიცხული პროცენტი	261	237
გადახდები	(1,594)	(1,727)
საკურსო სხვაობა	(246)	(55)
31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,312**	**4,359**
მოკლევადიანი	1,293	1,354
გრძელვადიანი	2,019	3,005

საიჯარო ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

ქვემოთ მოცემულია მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები:

ათასი ლარი	2022	2021
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ანარიცხები	1,432	1,332
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	261	237
დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარასთან და მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯი	1,124	608
მოგებაში ან ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა	**2,817**	**2,177**

14. მარაგები

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სახარჯო მასალები(თვითღირებულებით)	17,581	19,444
სათადარიგო ნაწილები (თვითღირებულებით)	18,158	14,875
დაუმთავრებელი წარმოება (თვითღირებულება)	8,665	5,747
ნედლეული და დანამატები (თვითღირებულებით)	7,710	6,982
მზა პროდუქცია (თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით)	6,796	4,979
მარაგები, სულ	**58,910**	**52,027**

15. სავაჭრო მოთხოვნები

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	12,221	11,770
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(2,258)	(2,236)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**9,963**	**9,534**

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის ცვლილებები 31 დეკემბრისთვის

ათასი ლარი	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	**(2,236)**	**(2,191)**
წლის ხარჯი	(22)	(45)
31 დეკემბრის მდგომარეობით	**(2,258)**	**(2,236)**

სავაჭრო მოთხოვნას პროცენტი არ ერიცხება და მათი ვადა, როგორც წესი, 30 დღემდეა.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის მოთხოვნების საკრედიტო რისკის შესახებ ანარიცხების მატრიცის გამოყენებით:

		არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	ვადაგადაცილებული			
			<60 დღე			>180 დღე
%-ში / ათას ლარში	სულ			60-120 დღე	120-180 დღე	
2022						
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	**18%**	**0%**	**0%**	**0%**	**99%**	**97%**
საბალანსო ღირებულება	12,221	8,103	1,781	11	21	2,305
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(2,258)				(21)	(2,237)
ნეტო თანხა	**9,963**	**8,103**	**1,781**	**11**	**0**	**68**
2021						
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	**19%**	0%	0%	0%	100%	100%
საბალანსო ღირებულება	**11,770**	8,529	655	350	24	2,212
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	**(2,236)**	-	-	-	(24)	(2,212)
ნეტო თანხა	**9,534**	**8,529**	**655**	**350**	**-**	**-**

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული თანხების ამოღება შესაძლებელია. გაუფასურების ანალიზი პერიოდულად და ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება. ანალიზი მოიცავს მომხმარებლებისგან მიღებული შემდგომი ფულადი სახსრების

შემოწმებას. კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას მხედველობაში იღებს არსებულ საკრედიტო რისკის შემცირებას, როგორიცაა საბანკო გარანტიები, ვინაიდან მოთხოვნების უმეტესობა დაფარულია საქართველოს კომერციული ბანკებისგან მიღებული გარანტიებით.

16. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავდა ნაშთებს რეზიდენტ ბანკებში გახსნილ მიმდინარე და სადეპოზიტო ანგარიშებზე. აღნიშნულ დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალმა 1,895 ათას ლარი შეადგინა (2021 წ.: 851 ათასი ლარი).

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი შემდეგია:

ათასი ლარი	**2022 წლის 31 დეკემბერი**	**2021 წლის 31 დეკემბერი**
"BB-" -დან "BB+" რეიტინგი	89,887	31,532
ურეიტინგო	10	20
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**89,897**	**31,552**

17. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბერს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 291,811 ათას ლარს.

უშუალო მშობელი კომპანიისთვის გადაცემა.

კომპანიამ 755 ათასი ლარის (2021: 134 ათასი ლარი) ფულადი სახსრები გადასცა უშუალო მშობელ კომპანიას საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი შედგება მესაკუთრეთა შენატანებისგან კომპანიის კაპიტალში და გაუნაწილებელი მოგებისგან. კომპანიაზე არ ვრცელდება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

18. სესხები და ნასესხები სახსრები

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის მოკლევადიანი ნაწილი ევროში	32,983	39,574
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის მოკლევადიანი ნაწილი ლარში	-	23,135
დარიცხული პროცენტი (c)	197	160
სულ მოკლევადიანი სესხები და ნასესხები სახსრები	**33,180**	**62,869**

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის გრძელვადიანი ნაწილი ევროში	63,245	113,176
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის გრძელვადიანი ნაწილი ლარში	-	-
სულ გრძელვადიანი სესხები და ნასესხები სახსრები	**63,245**	**113,176**

ფინანსური დანახარჯები მოიცავდა შემდეგს:

ათასი ლარი	2022	2021
სესხებისა და ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	8,155	14,173
საიჯარო ვალდებულებებზე პროცენტის ზრდა (მე-13 შენიშვნა)	261	237
სულ ფინანსური დანახარჯები	**8,416**	**14,410**

სესხებსა და ნასესხებ სახსრებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი შედგებოდა შემდეგი თანხებისგან:

ათასი ლარი	2022	2021
ევროში აღებული სესხებისა და ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	7,950	11,648
ლარში აღებული სესხებისა და ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	205	2,525
სულ	**8,155**	**14,173**

მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივები მთლიანად არის დაგირავებული ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

18. სესხები და ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ევროს ვალუტაში არსებული სესხების ვადები არის 2023 წლის ივნისსა და 2025 წლის ნოემბერს შორის და საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 6%-7.1% შორის .

ქართული კომერციული ბანკისგან სესხები მიღებულია სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური პირობით, რომლებიც ძალაში შევიდა ახალი მშრალი წარმოების ხაზის მშენებლობის დასრულების შემდეგ. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია აკმაყოფილებდა აღნიშნულ პირობებს.

ცვლილებები ფინანსური საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებებში

ათასი ლარი	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	**176,045**	**248,088**
ნასესხები სახსრები მიღება	4,453	-
საპროცენტო ხარჯი	8,027	14,173
გადახდილი პროცენტი	(7,718)	(13,863)
ძირითადი თანხის დაფარვა	(58,699)	(47,267)
საკურსო შემოსულობები, ნეტო	(25,683)	(25,086)
31 დეკემბრის მდგომარეობით	**96,425**	**176,045**

19. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სახელფასო და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ვალდებულება	5,939	3,805
საგადასახადო ვალდებულება	3,308	3,341
დარიცხვები საქონლისა და მომსახურებისთვის	2,644	3,629
ლიცენზიის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურების ვალდებულებები	1,997	749
სხვა ვალდებულებები	3,753	1,974
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ	**17,641**	**13,498**

20. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების ნაშთი მოიცავს ნაშთებს მესამე მხარეების მიმართ საქონლის (ნედლეულის, სათადარიგო ნაწილების, სახარჯო მასალების და მარაგების) და მომსახურების მიწოდებისთვის. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობასთან შედარებით მნიშვნელოვანი ზრდა ძირითადად საწვავზე (ქვანახშირის) ფასის ზრდით არის გამოწვეული.

21. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

გაურკვევლობა არსებობს საგადასახადო რეგულაციების ინტერპრეტაციებთან, საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებთან, და მომავალი დასაბეგრი მოგების ოდენობასა და მიღების დროსთან დაკავშირებით. საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო ხანგრძლივი პერიოდიც მოიცვას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს.

მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომლის გათვალისწინებაც ხელმძღვანელობს უწევს, არის ხმაურის და გარემოს დაბინძურების რეგულაციები. ხელმძღვანელობა ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშებს ცემენტის ქარხნების მიერ ხმაურისა და გარემოს დაბინძურების ნორმების დაცვის შესახებ. ამასთან, თუ გარემოს დაცვის სამინისტრო მიიღებს რამე საჩივარს საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით, დაუგეგმავი შემოწმება ტარდება. ხელმძღვანელობის აზრით, ქარხნები სრულად აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს და რეგულაციის დარღვევის რისკი არ არსებობს.

22. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო ვალდებულებების და სხვა მიმდინარე ვალდებულებებისგან, საიჯარო ვალდებულებებისგან და სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება. კომპანიას აქვს პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან მიღებული სავაჭრო მოთხოვნა და ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე.

კომპანიას აქვს საკრედიტო, ლიკვიდობის, სავალუტო და საპროცენტო რისკები. კომპანიას სხვა მნიშვნელოვანი საბაზრო რისკები არ აქვს, რადგანაც არ ფლობს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებზეც ექნებოდა ცვალებადი სამომავლო ფულადი ნაკადები საბაზრო ფასების მერყეობის გამო.

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაჰენტი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიის საკრედიტო რისკის მოცულობას წარმოადგენს მოთხოვნების ანგარიშების, ასევე ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საერთო ნაშთი 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებლის საკრედიტო რეიტინგი ფასდება საფუძვლიანი ანალიზით და ამ შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები.

გაუფასურების ანალიზი ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის მსხვილი მოთხოვნებისთვის ინდივიდუალურად, ხოლო უფრო მომცრო მოთხოვნისთვის - კოლექტიურად ხდება. მომხმარებლების მიმართ დაუფარავი მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები რეგულარულად კონტროლდება, მსხვილი მომხმარებლებისთვის მიწოდებები, როგორც წესი, უზრუნველყოფილია ავტორიტეტული ბანკებისგან ან სხვა ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული აკრედიტივებით ან კრედიტის სხვა ტიპის დაზღვევით. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული და ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული, წარმოდგენილია მე-15 შენიშვნაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საკრედიტო რისკის მართვა ძირითადად ხდება ფულადი სახსრების მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში განთავსებით, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის ძირითადი სავალუტო რისკები დგება იმ ფაქტის გამო, რომ კომპანიას სესხები აღებული აქვს უცხოურ ვალუტაში და, ამასთან, ყიდულობს იმპორტირებულ საქონელს, ხოლო შესყიდვები უცხოურ ვალუტაში ხდება.

22. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია კომპანიის სავალუტო რისკის შესახებ:

ათასი ლარი	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
სავაჭრო მოთხოვნა	3	868
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	56,772	69
სავაჭრო ვალდებულება	(1,818)	(3,669)
საიჯარო ვალდებულება	(1,260)	-
სესხები და ნასესხები სახსრები	-	(96,633)
ნეტო პოზიცია	53,697	(99,365)

ათასი ლარი	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
სავაჭრო მოთხოვნა	-	20
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18	30
სავაჭრო ვალდებულება	(1,815)	(4,049)
საიჯარო ვალდებულება	(2,479)	-
სესხები და ნასესხები სახსრები	-	(152,822)
ნეტო პოზიცია	**(4,276)**	**(156,821)**

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის დასაბეგრი მოგების მგრძნობელობა სავალუტო კურსების სავარაუდო მერყეობის მიმართ, როცა ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია (ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების გამო):

ათასი ლარი	სავალუტო კურსის ცვლილება	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
2022 წ. 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი	20%	10,739
აშშ დოლარი	-20%	(10,739)
ევრო	20%	(19,873)
ევრო	-20%	19,873

ათასი ლარი	სავალუტო კურსის ცვლილება	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
2021 წ. 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი	20%	(855)
აშშ დოლარი	-20%	855
ევრო	20%	(31,364)
ევრო	-20%	31,364

22. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდობის რისკი ნიშნავს, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ლიკვიდობის რისკი იმართება მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შეფასებით, პროგნოზირებული და ფაქტობრივი ფულადი ნაკადების მონიტორინგით, ასევე ფულადი რესურსების მისადაგებით ფინანსური ანგარიშგების დაფარვის ვადების ანალიზთან.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არადისკონტირებული დაფარვის სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე:

ათასი ლარი	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2022 წ. 31 დეკემბერი					
სესხები და ნასესხები სახსრები	10,412	28,405	68,332	-	107,149
სავაჭრო ვალდებულება	30,350	-	-	-	30,350
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17,641	-	-	-	17,641
საიჯარო ვალდებულებები	375	935	1,171	830	3,311
სულ	**58,778**	**29,340**	**69,503**	**830**	**158,451**

ათასი ლარი	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2021 წ. 31 დეკემბერი					
სესხები და ნასესხები სახსრები	35,259	35,926	123,578	-	**194,763**
სავაჭრო ვალდებულება	24,292	-	-	-	**24,292**
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7,224	-	-	-	**7,224**
საიჯარო ვალდებულებები	333	1,174	2,697	765	**4,969**
სულ	**67,108**	**37,100**	**126,275**	**765**	**231,248**

22. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკს წარმოქმნის საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილებები, რომლებიც გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ მოძრაობაზე ან რეალურ ღირებულებებზე. 2022 და 2021 წლებში კომპანიას მიღებული აქვს EURIBOR-ზე დამოკიდებული, ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები და ამიტომ მას საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია მგრძნობელობა შესაძლო გონივრული ცვლილების მიმართ:

ვალუტა *ათასი ლარი*	ზრდა/ შემცირება % 2022	გავლენა მოგებაზე 2022
ლარი	(0.20%)	266
ლარი	0.20%	(266)

ვალუტა *ათასი ლარი*	ზრდა/ შემცირება % 2021	გავლენა მოგებაზე 2021
ლარი	(0.20%)	180
ლარი	0.20%	(180)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან საანგარიშგებო თარიღისთვის.

ყველა ის ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომელთა რეალური ღირებულება შეფასებული ან გაცხადებულია, მესამე დონის იერარქიას არის მიკუთვნებული, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც პირველ დონეს მიეკუთვნებიან.

23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში:

ათასი ლარი	შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	ნეტო მოთხოვნა/ (ვალდებულება
2022			
აქციონერების მიერ კონტროლირებული საწარმოები			
HM Trading Global GmbH	11,175	-	(2,288)
შპს „თერჯოლა-კარიერი“	1,968	986	2,541
შპს რუსთავის ფოლადი (b)	450	1 342	18
შპს „მაგთიკომი“	335	5	(55)
HC Green Trading Limited	-	-	(10)
შპს „ბორჯომი-ვოთერსი“	108	-	(10)
IDS ბორჯომი საქართველო	-	-	(140)
შპს „HC Fuels“	-	-	(29)
HC Trading Malta Limited	-	-	(5)
HC Trading Malta Limited	-	-	-
Gorazdze Cement S.A.	-	-	12
DEVNYA CEMENT AD	6	-	-
HeidelbergCement Services LLP	-	-	625
შპს Georgian Steel	-	-	-
შპს Heidelbergcement Rus	-	-	111
აქციონერი			
HeidelbergCement AG (c)	8,435	75	(1,904)
Cement Invest B.V.	289		

23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ათასი ლარი	შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	ნეტო მოთხოვნა/ (ვალდებულება
2021			
აქციონერების მიერ კონტროლირებული საწარმოები			
HC TRADING GMBH	5,155	-	(29)
HC Green Trading Limited (a)	2,261	-	(10)
შპს „თერჯოლა-კარიერი“	453	132	3,326
შპს რუსთავის ფოლადი (b)	328	1,681	(118)
შპს „მაგთიკომი“	289	-	(46)
შპს „ბორჯომი-ვოთერსი“	97	-	(7)
IDS ბორჯომი საქართველო	-	-	(140)
სს „დევნია ცემენტი“	-	-	(58)
შპს „HC Fuels“	-	-	(29)
Gorazdze Cement S.A.	-	-	12
HC Trading Malta Limited	-	-	(5)
აქციონერი			
HeidelbergCement AG (c)	7,882	-	(1,526)

(a) 2022 და 2021 წლებში კომპანია რკინის სილიკატს და ბოქსიტს ყიდულობდა HC Green Trading Limited-ისგან.

(b) კომპანია ჯართს ყიდის „რუსთავის ფოლადზე“.

(c) HeidelbergCement AG-ისგან შესყიდვები წარმოადგენს ჯგუფის ზედნადებ ხარჯს და კომპანიის სხვა დარიცხულ ხარჯებს, რომლებიც შედგება IT სერვისების . ლიცენზიებისა და გენერალური დირექტორის ანაზღაურებისგან.

ფასს 16-ის მიხედვით აღრიცხული ოჯარები (კომპანია, როგორც მოიჯარე)	საპროცენტო ხარჯი		საოჯარო ვალდებულება	
ათასი ლარი	2022	2021	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
შპს „რუსთავის ფოლადი“	26	44	205	433
შპს „თერჯოლა-კარიერი“	26	36	212	226
სულ	52	80	417	659

ოპერაციები მთავარ ხელმძღვანელ პირებთან

კომპანიის **მთავარი ხელმძღვანელი პირების** ანაზღაურება 2022 წელს მოიცავდა ხელფასებს და პრემიებს და შეადგინა 4,781 ათას ლარი (2021 წ.: 3,606 ათასი ლარი).

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 21 აპრილს HeidelbergCement Central Europe East Holding B.V.-მ მიყიდა თავისი 45% წილი CaucasusCement Holding B.V-ში Cement Invest B.V-ს და მას შემდეგ კომპანიის უშუალო მშობელი კომპანიის სააქციო სტრუქტურა შემდეგნაირად შეიცვალა:

აქციონერი	მფლობელობა
Cement Invest B.V, რომელიც დაარსებული ლუქსემბურგში	90.00%
ქალბატონი სვეტლანა ლამპრიანოვა-ბეჟუაშვილი, საქართველოს მოქალაქე	10.00%
სულ	**100.00%**

ხელმძღვანელობა ამჟამად განიხილავს ჰაიდელბერგის ლიცენზიის გახანგრძლივებას და პარალელურად ამზადებს რებრენდინგის სტრატეგიას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვნად არ იმოქმედებს კომპანიის ოპერაციებზე.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N231373848
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.09.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	სალომე სალუქვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	577921111
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	68746243763423

ორიათას ოცდასამი წლის ოცდაცხრა სექტემბერს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარჯიმნის ქეთევან ბეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია" ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2022 წლის 31 დეკემბერი - თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე.
გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.4-ე მუხლის თანახმად 150.00 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსისი 166-ე მუხლის თაანხმად 27.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 5.00 ლარი. სულ გადახდილია 182 ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის/დამატების, გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებგვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

